საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-23/387
27/06/2019

387-შ-19-1-4-201906271531

„მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მისაღებად ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ წარმოსადგენი ქონებრივი დეკლარაციების ფორმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 23 აგვისტოს № 7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (სარეგისტრაციო კოდი 450140000.05.001.017018; 25.07.2013) შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდეგში - კომისია) ერთ-ერთ ფუნქციად განისაზღვრა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ წარსადგენი ქონებრივი დეკლარაციების ფორმების დადგენა შესაბამისი სამართლებრივი აქტით, ხოლო, ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, კომისიას დაევალა კანონის ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში დაედგინა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ წარმოსადგენი ქონებრივი დეკლარაციების ფორმები. აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით, კომისიის 2013 წლის 23 აგვისტოს № 7 დადგენილებით დამტკიცდა მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მისაღებად ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ წარმოსადგენი ქონებრივი დეკლარაციების ფორმები.

,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2019 წლის 3 მაისის საქართველოს კანონით (სარეგისტრაციო კოდი: 450140000.05.001.019480;10.05.2019; www.matsne.gov.ge) მაუწყებლობის ერთ-ერთ სახეობად განისაზღვრა საუნივერსიტეტო მაუწყებლობა. ამავე კანონის მე-2 მუხლის თანახმად, კომისიას დაევალა ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საუნივერსიტეტო მაუწყებლობის განხორციელების მსურველი პირი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელსაც, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის ა), ბ), გ) და დ) ქვეპუნქტების თანახმად, უნდა დაერთოს: საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში – სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები; შესაბამისობის დეკლარაცია; განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების გეგმა და ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ და განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია. ამავე პუნქტის ზ) ქვეპუნქტის თანახმად, საუნივერსიტეტო განხორციელების მსურველმა ავტორიზებულმა პირმა ამ პუნქტის „ა“–„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გარდა, განცხადებას უნდა დაურთოს ამავე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში), კერძოდ, ცნობა განცხადებული საწესდებო კაპიტალისა და მისი განაღდებული ნაწილის შესახებ, ცნობა აქტივებისა და პასივების შესახებ, ინფორმაცია საწესდებო კაპიტალისა და აქტივების საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ, მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა ქონებრივი დეკლარაცია.

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, VII და IX თავებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მისაღებად ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ წარმოსადგენი ქონებრივი დეკლარაციების ფორმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 23 აგვისტოს № 7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზნით;

2. ზეპირი მოსმენა გაიმართოს 2019 წლის 25 ივლისს 15:00 საათზე, ხოლო დადგენილება მიღებულ იქნას ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 დღის ვადაში;

3. დაევალოს კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციისა და ნებართვების დეპარტამენტს დადგენილების პროექტის მომზადება (მ. ქადეიშვილი);

4. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ო. ვოტ) საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ცნობისა და დადგენილების პროექტის კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინტერნეტში (www.gncc.ge) გამოქვეყნება;

5. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის სხდომაზე გამოცხადებისთანავე;

6. გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად;

7. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციისა და ნებართვების დეპარტამენტს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

კომისიის თავმჯდომარე

ელისო ასანიძე

კომისიის წევრი

მერაბ ქათამაძე

კომისიის თავმჯდომარის მ.შ.